წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი №3

ქ.წყალტუბო 3 აგვისტო 2022 წელი

2022 წლის 3 აგვისტო 12 საათზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „გენდერულმა თანასწორობის საბჭომ“ ჩაატარა რიგით მესამე სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა – თეიმურაზ ჭეიშვილი საკრებულოს თავმჯდომარე, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც არჩეულია საბჭოს დებულების მიხედვით (2017წლის განკარგულება № 36 154)

სხდომას ესწრებოდნენ: საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე – ხათუნა მაღლაკელიძე, საბჭოს მდივანი – მზია კიკალიშვილი, საბჭოს წევრები: კობა გურეშიძე, გიორგი დოლიძე, სერგო კირკიტაძე, არჩილ ღიბრაძე, შალვა კილაძე, რევაზ დიდავა, ლელა ბერძენიშვილი, ირინა ჩაკვეტაძე, ირინა ცაავა, ნინო ჭეიშვილი, მაია ბერაძე, ალექსანდრე დადუნაშვილი, ლატავრა ბენდელიანი, ირმა ხელაძე, ფატი გაგოშიძე, მარეხი კანკაძე, გრიგოლ ყურაშვილი, იასონ გაბუნია, ფაქიზო ფანჩულიძე-კუჭავა.

მოწვეული სტუმრები: დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს, მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტები: თამარ ენდილაძე და ხათუნა ობოლაძე. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ელენე კრავცოვა.

სულ 22, აქედან ქალი – 12, კაცი – 10

დასწრების ფურცელი თან ერთვის **(დანართი 1.)**

სხდომის თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი: **(დანართი 2)**

1. გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოების სიმბოლოების შექმნასთან დაკავშირებით.

/თ.ჭეიშვილი/

2. სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფოს სააგენტოს საქმიანობის შესახებ.

/ ე.ლეჟავა /

3. მუნიციპალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის განხორციელების შესახებ.

/ ე.კრავცოვა /

კენჭისწყრის შედეგები:

მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0
დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: სხდომის თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა საბჭოს წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს გაცნო: საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეას) მიერ მოწერილი წერილი გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოების სიმბოლოების შექმნასთან დაკავშირებით - თითოეულ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ჰქონდეთ საკუთარი ლოგო ან ნიშანი, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული სათათბირო ორგანოს იდეას. ათეას მოსაზრებით, უმჯობესი იქნება, წინასწარ შეთანხმებული ლოგო ყველა მუიციპალიტეტისთვის ერთნაირი იქნება და მათ ერთმანეთისგან განასხვავებს თავად მუნიციპალიტეტის სახელწოდება, რომელიც ამ ლოგოზე იქნება დატანილი და საპარლამენტო საბჭოს შუამდგომლობით, დონორი ორგანიზაცია დაგვეხმარება. **(დანართი 3)**

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ა: საბჭოს წევრებმა განაცხადეს თანხმობა „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ ლოგოს მიღებასთან დაკავშირებით, როგორც ათეა გვიწევს რეკომენდაციას ლოგო ყველა მუნიციპალიტეტისთვის ერთნაირი იქნება და მათ ერთმანეთისგან განასხვავებს თავად მუნიციპალიტეტის სახელწოდება, რომელიც ამ ლოგოზე იქნება დატანილი.

2. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს, მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტების: თამარ ენდილაძისა და ხათუნა ობოლაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია დასაქმების სააგენტოს შესახებ, რომელიც 2020 წლიდან არსებობს არა მხოლოდ იმერეთში, არამედ მთელ საქართველოს მასშტაბით, სადაც ყურადღებაა გამახვილებული პროფესიული სწავლებაზე, სტაჟირება, გადამზადება სხვადასხვა კუთხით (უცხო ენები, შინმოვლა, შედუღება, კომპიუტერული სწავლება და სხვა) სტაჟიორების დაფინანსება 200 ლარის ოდენობით. სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში:

თეიმურაზ ჭეიშვილი: სტაჟიორების დაფინანსებასთან დაკავშირებით - 1. როგორ ხდება სტაჟიორის დაფინანსება რაოდენობრივად ? 2. როდესაც ერთი ვაკანსია არის და სამი სტაჟიორი, ვალდებულება რა არის?

თამარ ენდილაძე: ერთ ადგილზე ყოველთვის ვიყვანთ 3 სტაჟიორს და სამივეს ვაფინანსებთ 200 ლარის ოდენობით. სამიდან ერთი უნდა დასაქმდეს 6 თვით, დანარჩენებს კი ვაძლებთ დასაქმების შესაძლებლობას.

მარეხი კანკაძე: 1. გადამზადებული სტაჟიორები თუ არიან დარეგისტრირებული რაიმე ბაზაში?

თ. ე. არსებობს გარკვეული ბაზა, რომელიც ჩვენი სამსახურის მიერ არის შექმნილი და აქ ხდება მათი დარეგისტრირება, რადგან შემდგომში მიეცეს დასაქმების შესაძლებლობა. ვაკანსია უფრო მეტია ვიდრე დასასაქმებელი,რადგან ანაზღაურება არის დაბალი, რის გამო ხდება მათი მიგრაცია.

ხათუნა მაღლაკელიძე: 1. მაინტერესებს მიმართულებები? 2. კვლევები თუ გაქვთ ჩატარებული და თუ გქონიათ უშუალოდ მეწარმეებთან შეხვედრა?

თ. ე. მეწარმეები მიგვაჩნია რგოლად, რომელიც გარკვეული ტიპის შეხვედრას მოახერხებს. ეს არ არის განაწესი შესაძლებელია ნებისმიერ სექტორში განხორციელდეს. ადგილზე მოხდეს პროფესიის შესწავლა.

ირმა ხელაძე: 1. გენდერულ ჭრილში თუ გაქვთ კვლევა? 2. მომვლელად მუშაობა რამდენად შესაძლებელია?

თ. ე. ვაწარმოებთ კვლევას და ქალები ყოველთვის ჭარბობს. ხელშეკრულებებით ხდება მათი დასაქმება

თამარ ენდილაძემ ისაუბრა შ.შ.მ. პირის დასაქმებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აფინანსებს ამ პროგრამას და როგორ ეხმარება ეს პროგრამა როგორც დამსაქმებელს ასევე დასასაქმებელს. მაქსიმალურად სახელმწიფომ გამოთქვა მზადყოფნა და დახმარება.

ხათუნა ობოლაძე: აქტიურად არის ჩართული საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების საქმის ლეგალიზება დარეგისტრირებაში - მაგალითად გერმანიაში. საზღვრის კვეთა, საპატიმროებში მოხვედრილი ადამიანები.

მზია კიკალიშვილი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი მუნიციპალიტეტია თქვენი სააგენტოს მიერ განხორციელებულ პროგრამაში „სოციალურად დაუცველების დასაქმების" მხრივ, რომელიც პირველ ხუთეულშია იმერეთის მასშტაბით და ამის შესახებ ინფორმაცია გვაინტერესებს?

თ.ე. მართლაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სანიმუშო მუნიციპალიტეტია ამ თვალსაზრისით, აქტიურად მუშაობს სოციალურად დაუცველები და სწორად გაიგეს პროგრამის მიზანი, ბევრ მუნიციპალიტეტში უნდობლობას გამოხატავდნენ მაგრამ წყალტუბოში სწორად იქნა ინფორმაცია მიწოდებული და ეს ადგილობრივი მმართველობის დამსახურება არის.

აზრი გამოთქვა გრიგოლ ყურაშვილმა პროგრამაში „სოციალურად დაუცველების დასაქმების" განხორციელებასთან დაკავშირებით პირველ ხუთეულშია წყალტუბოს მუნიციპალიტეტი იმერეთის მასშტაბით.

თამარ ენდილაძემ ცნობის სახით მოგვაწოდა ინფორმაცია - იანვრის თვიდან წყალტუბოსა და სამტრედიის მუნციპალიტეტში დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ეყოლებათ თანამშრომელი.

3. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ელენე კრავცოვამ საბჭოს წარუდგინა შემდეგი საკითხი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების

შესახებ". მუნიციპალიტეტის მერმა მზაობა გამოთქვა ამ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. ელენემ გვესაუბრა პროგრამის განხორციელების წესზე, ზოგად დებულებაზე, პროგრამის მიზნებსა და პრინციპებზე. როგორ და რა პირობებით მოხდება დაფინანსდება, განაცხადით მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 15 000 ლარს. პროგრამის განხორციელების წლიურ ანგარიშს საკრებულოს წარუდგენს სამდივნოს ხელმძღვანელი, არაუგვიანეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარდგენამდე. მუნიციპალიტეტის მერი უზრუნველყოფს სასწავლო მოდულის შეთავაზებას ბენეფიციარებისათვის, ბიზნეს გეგმები მიიღება მუნიციპალიტეტის კანცელარიაში და მას მიენიჭება ინდივიდუალური ნომერი. ბიზნეს გეგმების შეფასებას უზრუნველყოფს პროგრამის საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება შემდგომი წესით და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი: მერის მოადგილე, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის წარმომადგენელი, ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი, პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენელები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. ძირითად მიზნად კი ასახულია ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა. (**დანართი 4**)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საბჭოს წევრები და მოწვეული სტუმრები დაინტერესდენ წარდგენილი პროგრამით თუ როდის დაიწყება არსებული პროექტი და პირობებით, რომლითაც მოხდება მისი განხორციელება, ვინ შიძლება იყოს ბიზნეს იდეის ავტორი და სად შეიძლება მოხდეს ბიზნეს გეგმების წარდგენა.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1. გენდერული თანასწორობის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოს სიმბოლოს შექმნასთან დაკავშირებით, როგორც ათეა გვიწევს რეკომენდაციას ლოგო ყველა მუნიციპალიტეტისთვის ერთნაირი იქნება და მათ ერთმანეთისგან განასხვავებს თავად მუნიუციპალიტეტის სახელწოდება, რომელიც ამ ლოგოზე იქნება დატანილი.

ო ქ მ ი ს დ ა ნ ა რ თ ე ბ ი:

1. დასწრების ფურცელი
2. დღის წესრიგი
3. გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოების სიმბოლოების შექმნა
4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების პროგრამის განხორციელება

საბჭოს მდივანი : / მზია კიკვალიშვილი /